გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 103-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 32-ე მუხლის მოთხოვნების შესრულება;

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ცვლილება, საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელების ცვლილება, რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების ცვლილება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი გადასახდელების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი (ნაშთის გამოყენების გარეშე) სულ იზრდება 65 220,0 ათასი ლარით და 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი (ნაშთის გამოყენების გარეშე) განისაზღვრა 865 320,0 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების კლება იზრდება 65 220,0 ათასი ლარით და შეადგენს **180 220,0 ათასი ლარი, კერძოდ, იზრდება არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან მისაღები შემოსავლები 65 220,0 ათასი ლარით.**

მცირდება ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება) **36 800,0 ათასი ლარით და წლიური მოცულობა განისაზღვრა 43 200,0 ათასი ლარით.**

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება ჯამში 28 420,0 ათასი ლარით და 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 908 520,0 ათასი ლარის ოდენობით.

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - 10 113,6 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია - 1 605,1 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა - 6 406,5 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 150 029,0 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო - 116 319,9 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 80 500,0 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 36 820,6 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო, რომელიც იქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზაციის შედეგად - 44 482,7 ათასი ლარი;

• საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები - 462 242,6 ათასი ლარი.

რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების ცვლილება გამოწვეულია ძირითადად საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიმდინარე წელს განსახორციელებელი ახალი და მოქმედი პროექტების მოცულობის ცვლილებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზაციის შედეგად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ჩამოყალიბებით და შემდგომ მათი დაფინანსებით, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე დამატებით სხვადასხვა პროექტებზე ფინანსური დახმარების მოცულობის ცვლილების და სხვადასხვა გარემოებებით.

პროგრამების/ქვეპროგრამების, პროგრამული კოდებით 05 11 და 05 14, რომლის განმახორციელებელი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციები (2025 წლის 1 მარტამდე), 2025 წლის 01 მარტიდან აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების

განმახორციელებლად განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციები, რომლებიც დაფინანსდებიან ახალი პროგრამული 08 00 კოდით. ამასთან, პროგრამის, პროგრამული კოდით 05 14 15, განმახორციელებლად განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების მიზნით. პროგრამული კოდით 05 00 არსებული დანარჩენი პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებლად განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო და მის სიტემაში შემავალი ორგანიზაციები.

კერძოდ, 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ცალკეული გადასახდელების მოცულობა მცირდება 48 548,0 ათასი ლარით:

კერძოდ:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი - 50,0 ათასი ლარით;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 1 518,4 ათასი ლარით (მათ შორის: აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება - 400,0 ათასი ლარით, საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა - 1 118,4 ათასი ლარით);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო - 43 504,6 ათასი ლარით (მათ შორის: განათლების მართვა, კულტურისა და სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა - 501,6 ათასი ლარით, სტუდენტთა დახმარება - 400,0 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა - 7 832,0 ათასი ლარით, კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა - 2 692,6 ათასი ლარით, კულტურის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა - 267,9 ათასი ლარით, ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა - 608,4 ათასი ლარით, კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - 448,0 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - 2 040,0 ათასი ლარით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია - 7 579,4 ათასი ლარით, მუზეუმებისა და გალერეების განვითარება - 4 889,8 ათასი ლარით, სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა - 15 779,6 ათასი ლარით, ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა - 280,9 ათასი ლარით);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 3 475,0 ათასი ლარით (მათ შორის: ბათუმის კონცხის წყალქვეშა ფერდის განტვირთვის სამუშაოები - 3 414,7 ათასი ლარით);

რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა იზრდება 76 968,0 ათასი ლარით:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი - 50,0 ათასი ლარით;
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 1 927,8 ათასი ლარით (მათ შორის:

- 164,4 ათასი ლარით - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვა;
- 400,0 ათასი ლარით - ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
- 143,0 ათასი ლარით - აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება;
- 181,5 ათასი ლარით - საავტომობილო გზების მართვა;
- 850,0 ათასი ლარით - ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო - 5 824,5 ათასი ლარით (მათ შორის:

- 220,0 ათასი ლარით - განათლების მართვა, სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა;
- 860,0 ათასი ლარით - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- 850,0 ათასი ლარით - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- 1 753,4 ათასი ლარით - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 150,0 ათასი ლარით - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი;
- 585,2 ათასი ლარით - ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა;
- 202,0 ათასი ლარით - ა(ა)იპ მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე;
- 197,5 ათასი ლარით - პროფესიული და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- 400,0 ათასი ლარით - ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაცია და მასტერკლასები (ემატება ახალი ქვეპროგრამა);
- 128,0 ათასი ლარით - საარქივო სამმართველოს მართვა და მომსახურების მიწოდება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 15 000,0 ათასი ლარით (მათ შორის:

- 2 500,0 ათასი ლარით - მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება -
- 1 500,0 ათასი ლარით - გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება;
- 200,0 ათასი ლარით - სახსრების ენდოპროთეზირება;
- 1 500,0 ათასი ლარით - ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა;
- 2 710,0 ათასი ლარით - ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება;
- 1 000,0 ათასი ლარით - ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება;
- 300,0 ათასი ლარით - მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია;

- 500,0 ათასი ლარით - უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- 1 470,0 ათასი ლარით - მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება;
- 598,4 ათასი ლარით - ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაცია;
- 996,0 ათასი ლარით - სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარება;
- 1 500,0 ათასი ლარით - ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 3 475,0 ათასი ლარით (მათ შორის:

- 1 375,3 ათასი ლარით - ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა;
- 1 800,0 ათასი ლარით - პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო (რომელიც იქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზაციის შედეგად) 44 482,7 ათასი ლარით (მათ შორის:

- 3 144,1 ათასი ლარით - კულტურის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა;
- 2 637,6 ათასი ლარით - კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა;
- 267,9 ათასი ლარით - კულტურის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა;
- 608,4 ათასი ლარით - ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა;
- 448,0 ათასი ლარით - კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- 8 539,4 ათასი ლარით - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია;
- 4 895,3 ათასი ლარით - მუზეუმებისა და გალერეების განვითარება;
- 15 789,2 ათასი ლარით - სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა;
- 298,9 ათასი ლარით - ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა;
- 7 853,9 ათასი ლარით - სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა.

საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები - 6 208,0 ათასი ლარით (მათ შორის:

- 2 708,0 ათასი ლარით - მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარება;
- 3 500,0 ათასი ლარით - სარეზერვო ფონდი.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონის პროექტი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

ბიუჯეტის კანონპროექტი არ ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

ბიუჯეტის კანონპროექტი ასახავს გენდერული თანასწორობის პრინციპებს.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.